



ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა



განკარგულება:გ-93.93220213

თარიღი:21/01/2022

მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ „2020-2022 წლების საპილოტე რეგიონების ინტეგრირებული განვითარების პროგრამის“ ფარგლებში საქართველოს საპილოტე რეგიონების განვითარების სამთავრობო კომისიის მიერ გამოცხადებულ კონკურსზე განსახილველად წარსადგენი ინფრასტრუქტურული პროექტების მოწონების შესახებ

„საქართველოს საპილოტე რეგიონების განვითარების მიზნით განსახორციელებელი ღონისძიებების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2019 წლის 20 დეკემბრის # 628 დადგენილების და „2020-2022 წლების საპილოტე რეგიონების ინტეგრირებული განვითარების პროგრამის პროექტების შერჩევის პროცედურებისა და კრიტერიუმების განსაზღვრის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2020 წლის 27 მარტის №200 დადგენილების მე-6 მუხლის მე-8 პუნქტის საფუძველზე:

მუხლი 1. „საქართველოს საპილოტე რეგიონების განვითარების მიზნით განსახორციელებელი ღონისძიებების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2019 წლის 20 დეკემბრის N628 დადგენილებისა და „2020-2022 წლების საპილოტე რეგიონების ინტეგრირებული განვითარების პროგრამის პროექტების შერჩევის პროცედურებისა და კრიტერიუმების განსაზღვრის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2020 წლის 27 მარტის №200 დადგენილების ფარგლებში, 2021-2022 წლებში განისაზღვროს კონკურსზე წარსადგენი პროექტი:

„ ადგილობრივი ბიზნესის განვითარების ხელშეწყობისათვის სოფელ დავითიანში საგზაო ინფრასტრუქტურის მოწესრიგება“.

მუხლი 2.ნება დაერთოს ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის მერს, პირველი პუნქტით განსაზღვრული პროექტები წარადგინოს კონკურსზე „2020-2022 წლების საპილოტე რეგიონების ინტეგრირებული განვითარების პროგრამის პროექტების შერჩევის პროცედურებისა და კრიტერიუმების განსაზღვრის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2020 წლის 27 მარტის №200 დადგენილების შესაბამისად.

მუხლი 3.დაევალოს ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის მერს პირველი პუნქტით განსაზღვრული პროექტებისათვის საჭირო სახელმწიფო შესყიდვების განხორციელებისათვის შესაბამისი ღონისძიებების განხორციელება.

მუხლი 4.განკარგულებით გათვალისწინებული თანხების განკარგვა განხორციელდეს „2022 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად.

მუხლი 5. განკარგულება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

მუხლი 6.ამ განკარგულების გასაჩივრება შესაძლებელია გურჯაანის რაიონულ სასამართლოში (მის:ქ. გურჯაანი, სანაპიროს ქ. N24). მისი ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში.

კარლო ჯამბურია

ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი

